


გარდაბნის მუნიციპალტეტის მერია

ანგარიში 2017



წარმოგიდგენთ 2017 წლის იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშს.

ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახური

2017 წელს რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვებაში განხორციელდა შიდა გზების მოასფალტების სამუშაოები, რომლის ღირებულებამ ჯამში შეადგინა 2 309 600 ლარი.

რაც შეეხება ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ პროექტებს, განხორციელდა 30 ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლის სამუშაოების ღირებულება შეადგენს 9 775 812 ლარს,

კერძოდ:

- ქ. გარდაბანში და გარდაბნის მუნიციპალიტეტის 5 სოფელში განხორციელდა 9 მინი-მოედნის მშენებლობა 727 232 ლარი და 1 მინი-მოედნის რეაბილიტაცია - 40 836 ლარი;
- ქ.გარდაბანში და გარდაბნის მუნიციპალიტეტის 12 სოფელში გზის რეაბილიტაცია (დაახლოებით 26,5კმ) - 5 688 205 ლარი;
- გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კალინინოში და სოფელ მუდანლოში მოეწყო ახალი ბაღები - 466 925 ლარი და 4 ბაღის რეაბილიტაცია - 834 566 ლარი;
- ქ. გარდაბანში და სოფელ ვაზიანში მოეწყო 5 საბავშვო ატრაქციონი - 110 859 ლარი;
- ქ. გარდაბანში და გარდაბნის მუნიციპალიტეტის 3 სოფელში გარე-განათების მოწყობა - 837 870 ლარი;
- ქ.გარდაბანში და სოფელ სართიჭალაში ჩატარდა კეთილმოწყობის სამუშაოები - 572 536 ლარი.

2017 წელს დაიწყო ხუთი სოფლის სასმელი წყლით უზრუნველყოფის პროექტი (1 ეტაპი) რომელიც ითვალისწინებს სოფელ ნორიოში, მარტყოფში, ახალსოფელში, ახალ სამგორში და ვაზიანში სასმელი წყლით მომარაგებას. აღნიშნულ სამუშაო პროექტზე გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2017 წელს გამოიყო 8 000 000 ლარი.

ასევე სამსახურის მიერ შესწავლილ და მომზადებულ იქნა 340 სამშენებლო ნებართვა და მუნიციპალიტეტში შემოტანილმა მოსაკრებელმა შეადგინა 133 703 ლარი.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების სამსახური

გარდაბნის მუნიციპალიტეტში სოციალური პროგრამის ფარგლებში, 2017 წლის იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, 2296 მოქალაქეზე 1206971 ლარის ფინანსური დახმარება გაიცა.

- ერთჯერადი-მატერიალური დახმარება 977 მოქალაქეზე გაეწია, მატერიალური დახმარებისთვის დახარჯულმა თანხამ ჯამში 349150 ლარი შეადგინა.

- რაც შეეხება სამედიცინო (სამკურნალო – საოპერაციო) მომსახურებას და კლინიკაში არსებული დავალიანების მოთხოვნით შემოსულ განცხადებებს, 900 განაცხადი 690225 ლარით დაკმაყოფილდა.
- გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში მოქმედებს დიალექტზე დამოკიდებულთა სახელმწიფო პროგრამაში ჩართული მოქალაქეების სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურების პროგრამა, 2017 წელს ჯამში ამ მომსახურებისთვის გაიცა 53160 ლარი.
- 2017 წელს, C ჰეპატიტის პროგრამის სამკურნალო ხარჯებისთვის, შუამდგომლობის 65 განცხადება 11986 ლარით დაფინანსდა. ქვეპროგრამა ითვალისწინებდა C ჰეპატიტით დაავადებული მოქალაქეების „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი კვლევების ჩატარების უზრუნველყოფას.
- მუნიციპალიტეტში აგრეთვე მოქმედებს დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარების პროგრამა, რომელიც წელიწადში ორჯერ დედ-მამით ობოლი ბავშვების ფინანსურ მხარდაჭერას გულისხმობს. პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებს მთელი წლის განმავლობაში 13500 ლარის დახმარება გაეწიათ.
- 2017 წელს, შშმ პირების ფინანსურ მხარდაჭერისა და საზოგადოებაში მათი რეინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა 194 ბენეფიციარის განცხადება 48500 ლარით დაფინანსდა.
- 2017 წელს ამოქმედდა ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვების ფინანსური დახმარების პროგრამა. ქვეპროგრამის ფარგლებში, ბენეფიციარებს ყოველთვიურად 100 ლარი ერიცხებოდათ, ჯამურად მუნიციპალიტეტიდან რეინტეგრირებული ბავშვებისთვის გადარიცხულმა თანხამ 6100 ლარი შეადგინა.
- გარდაბნის მუნიციპალიტეტმა, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, სოციალურად დაუცველ და წარმატებულ სტუდენტებს მგზავრობის ღირებულების ხარჯები აუნაზღაურა. სულ წლის განმავლობაში სტუდენტთა მგზავრობის ხარჯებისთვის 1250 ლარი გაიცა.
- ასი და ას წელს გადაცილებულ 10 ხანდაზმულს, 2017 წლის 1 ოქტომბერს, პროგრამის ფარგლებში პირად საბანკო ანგარიშზე, თანხა 300 ლარის ოდენობით ჩაერიცხათ. წლიურად გაცემულმა თანხამ ათ ხანდაზმულზე 3000 ლარი შეადგინა.
- სოციალური პროგრამა აგრეთვე ითვალისწინებდა ვეტერანებისა და ომში დაღუპულთა სოციალურ უზრუნველყოფას, რომლის ფარგლებშიც ბენეფიციარებმა მუნიციპალიტეტიდან 21300 ლარის ფინანსური დახმარება მიიღეს.
- გარდაბნის მუნიციპალიტეტში უსახლკაროდ დარჩენილებისთვის ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამით წლის განმავლობაში, უსახლკარო მოქალაქეებს ბინის ქირის გადასახადი აუნაზღაურდათ, ჯამში გაცემულმა თანხამ 6650 ლარი შეადგინა.
- სოციალური პროგრამის ერთ-ერთი ქვეპუნქტაგანია მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება, რომელიც ითვალისწინებს ვეტერანთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო ხარჯების ანაზღაურებას. 2017 წლის იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება გაეწია 10 ოჯახს, საერთო თანხამ კი 2150 ლარი შეადგინა.

შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის 2017 წლის 26 იანვრის №32 ბრძანების საფუძველზე, შიდააუდიტის ობიექტში „გარდაბნის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურში“ განხორციელდა სისტემური აუდიტი.

- შიდა კონტროლის სისტემის ადეკვატურობის, ეფექტურობისა და კონტროლის ღონისძიებების შემოწმება და შეფასების შედეგად მოხდა პროცესებთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირება, თითოეულ პროცესს მიენიჭა შესაბამისი კატეგორიის რისკი, რის საფუძველზეც შიდა აუდიტის სამსახურმა აუდიტის ობიექტს და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს წარუდგინა დასკვნა და რეკომენდაცია სისტემური აუდიტის პროდუქტის-მატრიცის სახით.

შიდა აუდიტის ობიექტში - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის“ სისტემური აუდიტი განხორციელდა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის 2017 წლის 15 მარტის №33 ბრძანების საფუძველზე.

- სისტემური აუდიტის შემოწმებისას აღმოჩენილი გარემოებები, იდენტიფიცირებული რისკები, შიდა აუდიტის სამსახურმა ასახა დასკვნაში, შეიმუშავა სამოქმედო რეკომენდაციები და წარუდგინა აუდიტის ობიექტს და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს.

შიდა აუდიტის ობიექტში - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ სამსახურში“ განხორციელდა სისტემური აუდიტი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის 2017 წლის 5 მაისის #34 ბრძანების საფუძველზე.

- სისტემური აუდიტორული შემოწმების ფარგლებში შეფასდა აუდიტის ობიექტის შიდა კონტროლის სისტემების ადეკვატურობა და ეფექტიანობა, იდენტიფიცირებული რისკების საფუძველზე შიდა აუდიტის სამსახურმა აუდიტის ობიექტს და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს წარუდგინა აუდიტორული დასკვნა და მატრიცა-რისკებისა და კონტროლის სისტემის შეფასება.

შიდა აუდიტის ობიექტში - შპს „გარდაბნის სატრანსპორტო კომპანიაში“ განხორციელდა ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის 2017 წლის 26 ივნისის #35 ბრძანების საფუძველზე.

- ორგანიზაციის საქმიანობის დეტალური შესწავლის საფუძველზე იდენტიფიცირებული რისკები, შიდა აუდიტის სამსახურმა ასახა დასკვნაში, შეიმუშავა სამოქმედო რეკომენდაციები და წარუდგინა აუდიტის ობიექტს და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს.

საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური

- გარდაბნის მუნიციპალიტეტში ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებასა და საწვავზე გაწეულმა ხარჯმა 2017 წელს 349,807.45 ლარი შეადგინა.
- გასული წლისთვის, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების სატელეკომუნიკაციო ხარჯის ჯამური თანხა 38,850.09 ლარია.
- რაც შეეხება რეგიონული ფონდის დაფინანსებას, 2017 წელს გარდაბნის მუნიციპალიტეტმა სოფელ გამარჯვების გზების რეაბილიტაციისთვის 2,173,573.00 ლარის დაფინანსება მიიღო. 2017 წელს, გამარჯვების გზის შეკეთებისთვის გაწეულმა საკასო ხარჯმა 2,000,446.69 ლარი შეადგინა.

- გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში - გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია მერიის სამსახურებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, დაზუსტებული ასიგნებების შესრულების მაჩვენებლებს. ასევე ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული ხარჯების შესახებ. სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

(ათას ლარებში)

დასახელება	2017 წლის გეგმა	მათ შორის		2017 წლის ფაქტი	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	24 768,6	2 433,6	22 335,0	27 633,0	2 433,6	25 199,4
გადასახადები	19 500,0	0,0	19 500,0	22 192,1	0,0	22 192,1
გრანტები	2 433,6	2 433,6	0,0	2 433,6	2 433,6	0,0
სხვა შემოსავლები	2 835,0	0,0	2 835,0	3 007,4	0,0	3 007,4
ხარჯები	14 662,6	257,5	14 405,2	13 908,7	212,6	13 696,1
შრომის ანაზღაურება	3 294,5	0,0	3 294,5	3 290,0	0,0	3 290,0
საქონელი და მომსახურება	3 201,5	45,0	3 156,5	2 844,5	4,0	2 840,5
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
პროცენტი	45,0	0,0	45,0	40,0	0,0	40,0

სუბსიდიები	6 375,8	207,5	6 168,4	6 296,0	206,7	6 089,3
გრანტები	45,0	0,0	45,0	45,0	0,0	45,0
სოციალური უზრუნველყოფა	1 480,0	3,1	1 476,9	1 237,8	0,7	1 237,1
სხვა ხარჯები	220,8	1,9	218,9	155,3	1,3	154,1
საოპერაციო საღებო	10 105,9	2 176,1	7 929,8	13 724,3	2 221,0	11 503,3
არაფინანსური აქტივების ცვლილება	18 538,2	2 659,3	15 878,9	13 361,6	2 273,4	11 088,1
ზრდა	19 844,1	2 659,3	17 184,8	13 973,3	2 273,4	11 699,9
კლება	1 305,9	0,0	1 305,9	611,7	0,0	611,7
მთლიანი საღებო	-8 432,3	-483,1	-7 949,1	362,7	-52,5	415,2
ფინანსური აქტივების ცვლილება	-8 791,0	-508,4	-8 282,6	38,2	-77,7	116,0
ზრდა	0,0	0,0	0,0	116,0	0,0	116,0
კლება	8 791,0	508,4	8 282,6	77,7	77,7	0,0
ვალდებულებების ცვლილება	-358,8	-25,3	-333,5	-324,5	-25,3	-299,2
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	358,8	25,3	333,5	324,5	25,3	299,2
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

2017 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 8,947.5 ათასი ლარი.

2017 წლის ბოლოსათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 8,985.7 ათასი ლარი.

შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფორმა


(ათას ლარებში)

დასახელება	2017 წლის გეგმა	2017 წლის შესრულება	შესრულება %-ში
შემოსულობები	26,074.5	28,244.7	108.3%
შემოსავლები	24,768.6	27,633.0	111.6%
არაფინანსური აქტივების კლება	1,305.9	611.7	46.8%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	
გადასახდელები	34,865.5	28,206.5	80.9%
ხარჯები	14,662.6	13,908.7	94.9%
არაფინანსური აქტივების ზრდა	19,844.1	13,973.3	70.4%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	
ვალდებულებების კლება	358.8	324.5	90.4%
ნაშთის ცვლილება	-8,791.0	38.2	

ინფორმაცია გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ


გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 26,074.5 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 28,244.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის 108.3%.

სახეობების მიხედვით შემოსულობების ხვედრითი წილი შემდეგნაირია:



I შემოსავლები

გარდაბნი მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 24,768.6 ათასი ლარი ფაქტიურად 27,633.0 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 111,6% და მთლიანი შემოსულობების 97,8% შეადგინა.



I გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 22,192.1 ათასი ლარი. წინა წელთან შედარებით (ფაქტი – 19,729.8 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 2,462.3 ათასი ლარით მეტი შემოსავალი მიღებული.

საშემოსავლო გადასახადი - 2017 წლის საანგარიშო პერიოდში საშემოსავლო გადასახადიდან ბიუჯეტში გეგმის მიხედვით გათვალისწინებული იყო 2,000.0 ათასი ლარის მიღება, ხოლო ფაქტიურად მიღებულია 1,608.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 80,4%-ია.

ქონების გადასახადიდან - საანგარიშო პერიოდში მიღებულია 20,583.8 ათასი ლარის შემოსავალი, რაც გეგმის 17,500.0 ათასი ლარის 117,6%-ს შეადგენს, მათ შორის: საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი – 10,730.1 ათასი ლარი, უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 18.9 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე - 37.1 ათასი ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 1,359.2 ათასი ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 8,438.5 ათასი ლარი.

II გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 2,433.6 ათასი ლარი, მათ შორის: სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები, კერძოდ: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების

განსახორციელებლად – 260.0 ათასი ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან – 2,173.6 ათასი ლარი.

გრანტების ფაქტიურმა შესრულებამ გეგმის მიხედვით შეადგინა 100%.

III სხვა შემოსავლები

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 2,835.0 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 3,007.4 ათასი ლარი შეადგინა, რამაც გეგმის 106,1% შეადგინა, მათ შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 689.0 ათასი ლარი.

რენტის სახით მობილიზებულია 541.4 ათასი ლარი, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 499.5 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 41.9 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულია 244.8 ათასი ლარი. მათ შორის:

- ✓ **სანებართვო მოსაკრებელიდან** (მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე) მთლიანობაში მიღებულია 167.4 ათასი ლარი.
- ✓ **სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი** საანგარიშო პერიოდში მიღებულია 45.1 ათასი ლარი.
- ✓ **დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებელიდან** საანგარიშო პერიოდში მიღებულია 9.1 ათასი ლარი.
- ✓ **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურების** მუხლიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 23.2 ათასი ლარი.

სანქციებიდან, ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 1,316.7 ათასი ლარი შეადგინა.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 215.4 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივებიდან გეგმის სახით გათვალისწინებული იყო 1,305.9 ათასი ლარის მიღება. ნაცვლად ამისა, მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 611.7 ათასი ლარის შემოსავალი (შესრულება - 46,8%). მათ შორის: 183.5 ათასი ლარი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვიდან და არაწარმოებული აქტივები (მიწის) გაყიდვიდან - 428.2 ათასი ლარი.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული ნაშთები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ნაშთის სახით ირიცხებოდა 8,947.5 ათასი ლარი. ბიუჯეტის ცვლილების შედეგად გეგმის მიხედვით გაწერილი იყო 8,791.0 ათასი ლარი. ჭარბი შემოსავლებიდან გამომდინარე, ნაშთის ცვლილებამ შეადგინა 38.2 ათასი ლარი, რის შედეგადაც 31.12.2017 პერიოდისთვის გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ნაშთი გახდა 8,985.7 ათასი ლარი.

ინფორმაცია გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ

2017 წელს გადასახდელების საკასო შესრულების 80.9%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა.


2017 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 34,865.5 ათასი ლარი. გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 28,206.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 80.9%-ია. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 14,662.6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 13,908.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 94.9%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 49.3%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 19,844.1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 13,973.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 70.4%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 49.5%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 358.8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 324.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 90.4%-ია და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 1.2%-ია.



გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 3,294.5 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 3,290.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.9%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 23.7%-ია.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრულ იქნა 3,201.5 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 2,844.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 88.8%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 20.5%-ია.

„საქონელი და მომსახურების“ კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული დანარჩენი ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

- ✓ შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 406.4 ათასი ლარი;
- ✓ მივლინებები - 2.2 ათასი ლარი;
- ✓ ოფისის ხარჯები - 383.8 ათასი ლარი;
- ✓ წარმომადგენლობითი ხარჯები - 28.1 ათასი ლარი;
- ✓ რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - 56.3 ათასი ლარი;
- ✓ ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 363.6 ათასი ლარი;
- ✓ სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 1,604.2 ათასი ლარი.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 45.0 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 40.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 89.0%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 0.3%-ია. ამ მუხლიდან თანხები მიმართულ იქნა საშინაო ვალდებულებების მომსახურებაზე.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 6,375.8 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 6,296.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 98.7%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 45.3%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- გარე-განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - 400.0 ათასი ლარი;
- მუნიციპალური შენობების მოვლა-პატრონობა - 352.0 ათასი ლარი;
- ააიპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სუფთა ქალაქი“ - 513.6 ათასი ლარი;
- ააიპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება“ - 3,143.8 ათასი ლარი;
- ააიპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი“ - 390.5 ათასი ლარი;
- ააიპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - გარდაბნის სამუსიკო სკოლების გაერთიანების ცენტრი“ - 152.0 ათასი ლარი;
- ააიპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება“ - 99.5 ათასი ლარი;
- ააიპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“ - 254.0 ათასი ლარი;
- ააიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“ - 108.7 ათასი ლარი;

- ააიპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი“ – 101.6 ათასი ლარი;
- ააიპ „მეგობრობის ცენტრი“ – 102.1 ათასი ლარი;
- ააიპ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი“ – 256.7 ათასი ლარი;
- მოსწავლეებისა და პედაგოგების ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის ხარჯები - 225.4 ათასი ლარი;
- ააიპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის თერაპიული ცენტრი განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის“ – 196.2 ათასი ლარი;

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 45.0 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 45.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 0.3%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1,480.0 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1,237.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 83.6%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 8.9%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- ავადმყოფთა სოციალური დაცვა - 630.2 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის დაფინანსება - 31.0 ათასი ლარი;
- ერთჯერადი მატერიალური დახმარება - 349.2 ათასი ლარი;
- მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება - 2.4 ათასი ლარი;
- დიალიზზე დამოკიდებული მოქალაქეების დაფინანსება - 53.2 ათასი ლარი;
- C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დახმარება - 12.0 ათასი ლარი;
- დედამამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარება - 13.5 ათასი ლარი;
- უსახლკაროდ დარჩენილთა და სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ პირთა დახმარება - 6.7 ათასი ლარი;
- ვეტერანთა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური დახმარება - 21.3 ათასი ლარი;
- ხანდაზმულებისა და შშმ პირების სოციალური დაცვა - 51.5 ათასი ლარი;
- სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებულ ბავშვთა დახმარების პროგრამა - 6.1 ათასი ლარი;
- სპორტსმენებისა და სტუდენტების მატერიალური დახმარება - 1.3 ათასი ლარი.

„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 220.8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის გამგებლის/მერის სარეზერვო ფონდი 140.0 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 155.3 ათასი ლარის მოცულობით, მათ შორის გამგებლის/მერის სარეზერვო ფონდიდან 80.0 ათასი ლარი. „სხვა ხარჯების“ მთლიანმა შესრულებამ გეგმის 70.3% შეადგინა, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 1.1% შეადგინა. გამგებლის/მერის


სარეზერვო ფონდის საკასო შესრულება გეგმის 57.1%-ია, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 0.6%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (წარმატებული სპორტსმენების დაფინანსება) - 70.4 ათასი ლარი;
- კულტურული ღონისძიებების დაფინანსება - 3.0 ათასი ლარი;
- მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება - 1.7 ათასი ლარი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის სარეზერვო ფონდიდან 2017 წელს დაფინანსდა მოსახლეობისათვის აუცილებელი და მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:

- შშმ პირთა სოციალური დაცვა - 5.0 ათასი ლარი;
- უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა სოციალური დაცვა - 52.3 ათასი ლარი;
- დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარება - 0.3 ათასი ლარი;
- სპორტული ღონისძიებების დაფინანსება - 3.1 ათასი ლარი;
- ავადმყოფთა სოციალური დაცვა - 10.6 ათასი ლარი;
- ერთჯერადი მატერიალური დახმარება - 8.1 ათასი ლარი;
- მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება - 0.5 ათასი ლარი;



სესხების მომსახურება და დაფარვა

სესხის მომსახურებისა და დაფარვისათვის საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 324.5 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (358.8 ათასი ლარი) 90.4%-ია. მათ შორის: 2016 წელს წარმოქმნილი დავალიანებები გარდამავალი პროექტებისათვის და სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა - 156.5 ათასი ლარი, წინა წლებში წარმოქმნილი სესხების ძირი თანხის დაფარვა - 98.4 ათასი ლარი, სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება - 69.6 ათასი ლარი.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული პრიორიტეტები:

- ❖ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება - 5,284.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (5,805.2 ათასი ლარი) 91.0%-ია;
- ❖ თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 153.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (199.6 ათასი ლარი) 76.7%-ია;
- ❖ ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - 16,233.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (22,005.5 ათასი ლარი) 73.8%-ია;
- ❖ განათლება - 3,171.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (3,221.7 ათასი ლარი) 98.4%-ია;
- ❖ კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები - 1,444.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (1,461.2 ათასი ლარი) 98.8%-ია;
- ❖ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1,920.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (2,172.4 ათასი ლარი) 88.4%-ია.

დაზუსტებული ასიგნებების შესრულება

(ათას ლარებში)

გარდაბნის მუნიციპალიტეტი		2017 წლის გეგმა	2017 წლის ფაქტი	შესრულების პროცენტი
ორგ.კოდი	დასახელება	34865.5	28206.5	80.9
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	5805.2	5284.0	91.0
01 01	გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1056.5	972.3	92.0
01 02	გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობა	4388.8	4023.7	91.7

01 03	სარეზერვო ფონდი	140.0	80.0	57.1
01 04	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების ფონდი	220.0	208.0	94.6
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	199.6	153.1	76.7
02 02	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	199.6	153.1	76.7
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	22005.5	16233.1	73.8
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	6233.1	5927.4	95.1
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	13112.7	7842.7	59.8
03 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	8654.6	3719.1	43.0
03 02 02	გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	1732.7	1668.9	96.3
03 02 03	დასუფთავების ღონისძიებები	8.9	8.9	100.0
03 02 04	ბინათმშენებლობა	100.0	54.2	54.2
03 02 05	ქლორის შექმნის ხარჯები	10.0	0.0	0.0
03 02 07	საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია-ექსპლუატაცია	105.0	81.4	77.6
03 02 08	ნაპირსამაგრი სამუშაოები	15.0	0.0	0.0
03 02 09	მუნიციპალური შენობების მოვლა-პატრონობა	368.7	352.0	95.5
03 02 10	სკოლამდელი დაწესებულებების შენობების რეაბილიტაცია	1594.3	1444.6	90.6
03 02 11	ააიპ "გარდაბნის მუნიციპალიტეტის სუფთა ქალაქი"	523.6	513.6	98.1
03 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	2151.2	2055.5	95.6
03 03 01	კეთილმოწყობის ხარჯები	1786.4	1699.6	95.1
03 03 02	გამწვანების, ნარგავების მოწვევისა და სკვერების მოწყობის და მოვლა-პატრონობის ხარჯები	324.8	319.9	98.5

03 03 03	ადმინისტრაციული შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია	40.0	36.1	90.2
03 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	508.4	407.5	80.2
04 00	განათლება	3221.7	3171.4	98.4
04 01 01	ააიპ "გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება"	3221.7	3171.4	98.4
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1461.2	1444.3	98.8
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	513.2	507.5	98.9
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	121.0	115.6	95.5
05 01 02 01	ა(ა)იპ- „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი“	392.2	391.9	99.9
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	948.0	936.8	98.8
05 02 01	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	117.8	117.3	99.6
05 02 02	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	830.2	819.5	98.7
05 02 02 01	ტელევიზიის დაფინანსება	10.0	0.0	0.0
05 02 02 02	ააიპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - გარდაბნის სამუსიკო სკოლების გაერთიანების ცენტრი	152.0	152.0	100.0
05 02 02 03	ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება	100.8	100.8	100.0
05 02 02 04	ააიპ "გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი"	254.0	254.0	100.0
05 02 02 05	ააიპ "ივანე ჯავახიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი"	108.8	108.7	100.0
05 02 02 06	ააიპ "გარდაბნის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი"	102.0	101.9	99.9
05 02 02 07	ააიპ "მეგობრობის ცენტრი"	102.6	102.1	99.5
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2172.4	1920.5	88.4

06 01	ააიპ "საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი"	260.5	259.1	99.5
06 02	სოციალური პროგრამები	1911.9	1661.5	86.9
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	840.0	690.2	82.2
06 02 02	ჯანმრთელობისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი	37.0	31.0	83.7
06 02 03	მოსწავლეების და პედაგოგების ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის ხარჯები	225.4	225.4	100.0
06 02 04	ააიპ "გარდაბნის მუნიციპალიტეტის თერაპიული ცენტრი განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის"	200.0	196.2	98.1
06 02 05	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	415.7	349.2	84.0
06 02 06	მიცვალბულთა სარიტუალო მომსახურება	10.0	4.1	41.0
06 02 07	დიალექზე დამოკიდებული მოქალაქეების დაფინანსება	54.0	53.2	98.4
06 02 08	C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დახმარება	20.0	12.0	59.9
06 02 09	დედამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარება	14.0	13.5	96.4
06 02 10	უსახლკაროდ დარჩენილთა და სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ პირთა დახმარება	7.5	6.7	88.7
06 02 11	ვეტერანთა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური დახმარება	21.5	21.3	99.1
06 02 12	ხანდაზმულ პირთა სოციალური დაცვა	3.0	3.0	100.0
06 02 13	შშმ პირთა სოციალური დაცვა	50.0	48.5	97.0
06 02 14	სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებულ ბავშვთა დახმარების პროგრამა	8.8	6.1	69.3
06 02 15	სპორტსმენებისა და სტუდენტების მატერიალური დახმარება	5.0	1.3	25.0

ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახური

ქონების მართვის განყოფილება - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირდა 22 ერთეული უძრავი ქონება, რომელსაც წარმოგიდგენთ თანდართულ ცხრილში (დანართი - 1) მათ შორისაა:

- უძრავი ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემა, შემდგომში სოციალურად დაუცველი ოჯახისთვის დროებით სარგებლობაში გადასაცემად;
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობის სარგებლობაში გადაცემა გარდაბნის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში მონაკვეთის სარეაბილიტაციო შესრულების მიზნით სამშენებლო ბაზის მოსაწყობად.
- ასევე განხორციელდა სხვადასხვა ფართობის გადაცემა საქართველოს პარლამენტისთვის ბიუროს ფუნქციონირების მიზნით, დეპუტატის უფლებამოსილების ვადით.
- განხორციელდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართის გადაცემა შემდგომში დევნილთათვის საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობისა და მათთვის კერძო საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

საცხოვრებელი ბინის პრივატიზების შესახებ

- მოთხოვნა შემოსულია 52 (ორმოცდათორმეტი) განცხადებით;
- აქედან განხილვის შედეგად საქართველოს მთავრობის №189 დადგენილების „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ თანახმად, 20 (ოცი) განცხადება (მათ შორის 8 (რვა) საერთო საკუთრება) იქნა დაკმაყოფილებული და უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა კანონიერ მოსარგებლებს, მათ შორისაა მუნიციპალურ საკუთრებაში გადმოცემული ფართები.

განხორციელდა ასევე გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების შესახებ ინფორმაციის მოძიება, პრივატიზებას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთების შესწავლა, მისი დანიშნულებით გამოყენებისა და გასხვისების შესახებ პოზიციის დაფიქსირება.

- კონკრეტულად გარდაბნის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უძრავი ქონების პრივატიზებით გაცემის საკითხთან დაკავშირებით მიეწოდათ სამსახურის პოზიცია 95 (ოთხმოცდათხუთმეტი) უძრავ ქონებაზე, აქედან უარყოფითი პოზიცია დაფიქსირდა 49 (ორმოცდაცხრა) უძრავ ქონებაზე, ხოლო დადებითი 46 (ორმოცდაექვსი) უძრავ ქონებაზე.
- განყოფილებაში ასევე შემოსულია სხვადასხვა უწყებიდან 1000 - მდე კორესპონდენცია, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიულ პირების განცხადება, რომელიც განხილული იქნა ჩვენი სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, ასევე ერთობლივი საკითხის შესწავლა საკითხის განმხილველ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად.
- განყოფილების მიერ, სხვა სამსახურების თანამშრომლების თანამონაწილეობით ჩატარდა ინვენტარიზაცია გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ყველა სტრუქტურულ ერთეულსა და საკრებულოში, ასევე ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში.

- განყოფილებამ ასევე უზრუნველყო გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ავტომატქანების უკან დაბრუნება და შემდგომ კანონით დადგენილი წესის მიხედვით გადაცემა სათანადო დოკუმენტაციის გაფორმებით.

დანართი - 2

ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილება - ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების მიერ საკრებულოს წარედგინა საპრივატიზაციო ნუსხაში ჩასასმელად და აუქციონის ფორმით პრივატიზებისთვის შემდეგი ობიექტები:

- 1) **გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 11 ერთეული რკინის სეიფი (ჯართი) რომელზეც გამოიგა 2016 წლის 30 ნოემბრის № 251 საკრებულოს განკარგულება.**
 - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 ნოემბრის № 251 განკარგულების საფუძველზე, 2016 წლის 9 დეკემბერს 12:00-სთ-ზე ელექტრონულ საიტზე [www. eauction.ge](http://www.eauction.ge)-ზე განთავსდა (აუქციონის #31810 ლოტის #381188), გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 11 ერთეული რკინის სეიფი (ჯართი) პრივატიზაციის მიზნით, რომელიც დასრულდა სტატუსით **გაყიდულია** 2016 წლის 16 დეკემბერს 12:00-სთ-ზე, სადაც გამარჯვებულად გამოვლინდა ზაზა ბალხამიშვილი, ხოლო სეიფების (ჯართი) ღირებულებამა შეადგინა 235 ლარი. 2017 წლის 3 იანვარს გადაეცა საკუთრების მოწმობა № 1.
- 2) **გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფ. მარტყოფში (ვაზიანის ტერიტორია) მდებარე ს/კ 81.10.27.972 და 81.10.27.974 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების #1, 2, 3, 4, 5 და #1, რომელზეც გამოიგა 2017 წლის 30 იანვრი #14 განკარგულება.**
 - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 იანვრის №14 განკარგულების საფუძველზე, 2017 წლის 17 თებერვალს 15:00- სთ-ზე ელექტრონულ საიტზე www. eauction.ge-ზე განთავსდა (აუქციონის #31810 ლოტის #406165), გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფ. მარტყოფში (ვაზიანის ტერიტორია) მდებარე ს/კ 81.10.27.972 და 81.10.27.974 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების #1, 2, 3, 4, 5 და #1 პრივატიზაციის მიზნით, რომელიც 2017 წლის 9 მარტს 15:00-სთ-ზე დასრულდა სტატუსით **გაყიდულია**, სადაც გამარჯვებულად გამოვლინდა მიხეილ მჭედლიშვილი. გარდაბნის მუნიციპალიტეტსა და მიხეილ მჭედლიშვილს შორის გაფორმებული ხელშეკრულების (24.03.2017 #1) მე-3 მუხლის 3.1 პუნქტის შესაბამისად აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იყო საპრივატიზაციო თანხა სრულად გადაეხადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარულ დღეში ხელშეკრულებაში მითითებულ ანგარიშზე. ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ელექტრონული აუქციონი(№3180, ლოტის № 406165) შედეგები ჩაითვალა გაუქმებულად. აუქციონში გამარჯვებულს (მყიდველი) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის **ბეს თანხა 7370 ლარი არ დაუბრუნდა, რომელიც სრულიდ ჩაირიცხა გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში.**
- 3) **გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ვახტანგისში მდებარე (ს/კ.81.00.349) ხაზოვანი ნაგებობა გაზსადენი მილი (11 619,77მ.) იჯარა, რომელზეც გამოიგა 2017 წლის 31 მარტის № 65 განკარგულება.**
 - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის #65 განკარგულების საფუძველზე 2017 წლის 10 აპრილს 15:00-სთ-ზე ელექტრონულ საიტზე www. eauction.ge-ზე განთავსდა (აუქციონის #31810 ლოტის #423829), გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ვახტანგისში მდებარე (ს/კ.81.00.349) ხაზოვანი ნაგებობა გაზსადენი მილი (11619,77მ.) იჯარის მიზნით, რომელიც 2017 წლის 25 აპრილს 15:00-სთ-ზე დასრულდა სტატუსით **გაყიდულია**, სადაც გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „არზუ გაზი“-ს დირექტორი აკბარ ომაროვი. ყოველთვიურმა საიჯარო ქირამ შეადგინა 1363.08 ლარი. საიჯარო პერიოდი კი შეადგენს 10 წელს.
- 4) **გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. გარდაბანში დ. აღმაშენებლის ქ. #27 -ში მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 10304 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (# 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8,) ს/კ 81.15.13.453 ასევე ზემოთ ხსენებულ მისამართზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 571კვ.მ მიწის ნაკვეთი ს/კ 81.15.13.454 და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობი (#1) რომელზეც გამოიგა 2017 წლის 31 მარტის #62 განკარგულება.**

- გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის № 62 განკარგულების საფუძველზე, 2017 წლის 11 აპრილს 16:00-სთ-ზე ელექტრონულ საიტზე [www. eauction.ge](http://www.eauction.ge)-ზე განთავსდა (პირობებიანი ელექტრონული აუქციონის #31810 ლოტის #423850), გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. გარდაბანში დ. აღმაშენებლის ქ. #27 - ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 10304 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (# 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8,) ს/კ 81.15.13.453 ასევე ზემოთ ხსენებულ მისამართზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 571კვ.მ მიწის ნაკვეთი ს/კ 81.15.13.454 და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (# 1), რომელიც 2017 წლის 10 მაისს 16:00-სთ-ზე დასრულდა სტატუსით არ შემდგარი (ჩაშლილი).
- 5) **გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფ. სააკაძეში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ს/კ 81.10.29.489 31 35 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა#1 რომელზეც გამოიცა 2017 წლის 31 მარტის № 63 განკარგულება.**
- გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის #63 განკარგულების საფუძველზე 2017 წლის 10 აპრილს 16:00-სთ-ზე ელექტრონულ საიტზე www.eauction.ge-ზე განთავსდა (აუქციონის #31810 ლოტის #423864), გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფ. სააკაძეში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ს/კ 81.10.29.489 3135 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა#1 პრივატიზაციის მიზნით, რომელიც 2017 წლის 4 მაისს 16:00-სთ-ზე დასრულდა სტატუსით გაყიდულია, სადაც გამარჯვებულად გამოვლინდა ხვიჩა ჩიტიაშვილი კ/ნ 12001092710. 2017 წლის 5 მაისს აუქციონატორსა (გარდაბნის მუნიციპალიტეტი) და აუქციონში გამარჯვებულს (ხვიჩა ჩიტიაშვილი) შორის გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი № 2 ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო არ გაუფორმდა აუქციონატორსა (გარდაბნის მუნიციპალიტეტი) და აუქციონში გამარჯვებულს (ფ/პ ხვიჩა ჩიტიაშვილი) შორის ხელშეკრულება. საპრივატიზაციო თანხის გადაუხდელობისა და 2017 წლის მაისს გაფორმებული ოქმი № 2 შესაბამისად აუქციონში გამარჯვებულს (მყიდველი) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის შესახებ არ დაუბრუნდა, რომელიც სრულიდ ჩაირიცხა გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში.
- 6) **გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. გარდაბანში დ. აღმაშენებლის ქ. № 80 -ში მდებარე (ს/კ81.15.16.288) შენობის სარდაფში განთავსებული 129,05 კვ.მ ფართის იჯარა, რომელზეც გამოიცა 2017 წლის 30 მაისის #156 განკარგულება.**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის № 156 განკარგულების საფუძველზე, 2017 წლის 3 ივლისს 16:00-სთ-ზე ელექტრონულ საიტზე www. eauction.ge-ზე განთავსდა (აუქციონის #31810 ლოტის #449531), გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. გარდაბანში დ. აღმაშენებლის ქ. № 80 -ში მდებარე (ს/კ81.15.16.288) შენობის სარდაფში განთავსებული 129,05 კვ.მ ფართის იჯარის მიზნით, რომელიც 2017 წლის 17 ივლისს 16:00-სთ-ზე დასრულდა სტატუსით **გაყიდულია**, სადაც გამარჯვებულად გამოვლინდა ვახტანგი ჯოჯუა, ხოლო ობიექტის წლიურმა საიჯარო ქირამ წელიწადში შეადგინა 1320 ლარი. 2017 წლის 20 ივლისს გაფორმდა აუქციონში გამარჯვებულსა და აუქციონატორს შორის საიჯარო ხელშეკრულება № 2.

- 7) **გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 12 (თორმეტი) ერთეული მსუბუქი ავტომანქანა (ჩამოწერილი ჯართი) პრივატიზაცია, რომელზეც გამოიცა 2017 წლის 28 სექტემბერს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს № 257 განკარგულება.**
- მიმდინარეობს ელექტრონული აუქციონის მოსამზადებელი პროცედურები, რომელიც შეეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 12 (თორმეტი) ერთეული მსუბუქი ავტომანქანა (ჩამოწერილი ჯართი) აუქციონის წესით პრივატიზაციას.
- 8) **გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ სააკაძეში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე გათავსებული შენობა-ნაგებობის პრივატიზაცია (განმეორებით), რომელზეც გამოიცა 2017 წლის 28 სექტემბერს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს № 258 განკარგულება.**
- მიმდინარეობს ელექტრონული აუქციონის მოსამზადებელი პროცედურები, რომელიც შეეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სოფელ სააკაძეში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე გათავსებული შენობა-ნაგებობის აუქციონის წესით პრივატიზაციას.

- 9) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. გარდაბანში დ. აღმაშენებლის ქ. № 27 -ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 10304 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (# 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8,) ს/კ 81.15.13.453 ასევე ზემოთ ხსენებულ მისამართზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 571კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (№ 1) ს/კ 81.15.13..454 (გარდა № 1-ის პირველ სართულზე არსებული ს/კ 81.15.13.454.01.500 150 კვ.მ-სა), რომელზეც გამოიცა 2017 წლის 9 აგვისტოს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს № 217 განკარგულება.
- გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 იანვრის № 217 განკარგულების საფუძველზე 2017 წლის 21 აგვისტოს 16:00- სთ-ზე ელექტრონულ საიტზე [www. eauction.ge](http://www.eauction.ge)-ზე განთავსდა (აუქციონის #31810 ლოტის #464350), მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. გარდაბანში დ. აღმაშენებლის ქ. #27 -ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 10304 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (# 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8,) ს/კ 81.15.13.453 ასევე ზემოთ ხსენებულ მისამართზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 571კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (# 1) ს/კ 81.15.13.454 (გარდა #1-ის პირველ სართულზე არსებული ს/კ 81.15.13.454.01.500 150 კვ.მ-სა), რომელიც 2017 წლის 11 სექტემბერს 16:00-სთ-ზე დასრულდა სტატუსით არ შემდგარი (ჩაშლილი).

ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების მიერ საკრებულოს წარედგინა უსასყიდლო თხოვნის უფლებით გადაცემის შემდეგი პროექტები:

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული **სპეციალიზებული ავტომანქანა „ნაგავშიდი“ (მარკა KATMERCILER, მოდელი RCV, ტიპი „ სპეციალიზებული“ საიდენტიფიკაციო # NMB95050112180989 გამოშვების წელი 2016. რეგ. ნომერი VO841QV)** რომელზეც გამოიცა 2017 წლის 28 თებერვალს № 21 განკარგულება.

- გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვალს #21 განკარგულების საფუძველზე 2017 წლის 20 აპრილს გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უსასყიდლო თხოვნის უფლებით გადასცა ა.ა.ი.პ. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სუფთა ქალაქი“-ს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული **სპეციალიზებული ავტომანქანა „ნაგავშიდი“ (მარკა KATMERCILER, მოდელი RCV, ტიპი „ სპეციალიზებული“ საიდენტიფიკაციო # NMB95050112180989 გამოშვების წელი 2016. რეგ. ნომერი VO841QV)** ა.ა.ი.პ.-ის მოქმედების ვადამდე.

2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული **ავტომანქანა „ამწე კალათა“ (მარკა IVECO, მოდელი DAILY, ტიპი „სპეციალური“ საიდენტიფიკაციო #ZCFC509000D224348 გამოშვების წელი 2003. რეგ. ნომერი 11854CC)** რომელზეც გამოიცა 2017 წლის 30 იანვრის #11 განკარგულება.

- გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 იანვრის #11 განკარგულების საფუძველზე 2017 წლის 20 აპრილს გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უსასყიდლო თხოვნის უფლებით გადასცა შ.პ.ს. „გარდაბანგანათების, კომუნალური განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახური“-ს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული **ავტომანქანა „ამწე კალათა“ (მარკა IVECO, მოდელი DAILY, ტიპი „სპეციალური“ საიდენტიფიკაციო #ZCFC509000D224348 გამოშვების წელი 2003. რეგ. ნომერი 11854CC)** შ.პ.ს-ს მოქმედების ვადამდე.

3. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სამი ერთეული ტრაქტორი და სამი ერთეული გუთანა (4 სექციური საკიდით) *БЕЛАРУС МТ3-82, 1 შასის № 0006451, გ/წ 2016, სახელმწიფო ნომერი - AA298A, БЕЛАРУС МТ3-82,1 შასის № 0006300, გ/წ 2015, სახელმწიფო ნომერი - AA295A და БЕЛАРУС МТ3-82,1 ძარის №808219188, გ/წ 2016, სახელმწიფო ნომერი - GG697C* რომელზეც გამოიცა 2017 წლის 28 თებერვლის № 25 განკარგულება.

- გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის № 25 განკარგულების საფუძველზე 2017 წლის 31 მარტს გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უსასყიდლო თხოვნის უფლებით გადასცა შ.პ.ს. „გარდაბანგანათების, კომუნალური განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახური“-ს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სამი ერთეული ტრაქტორი და სამი ერთეული გუთანა (4 სექციური საკიდით) *БЕЛАРУС МТ3-82, 1 შასის № 0006451, გ/წ 2016, სახელმწიფო ნომერი - AA298A, БЕЛАРУС МТ3-82,1 შასის № 0006300, გ/წ 2015, სახელმწიფო*

ნომერი - AA295A და БЕЛАРУСЬ МТЗ-82,1 ძარის №808219188, გ/წ 2016, სახელმწიფო ნომერი - GG697G. შ.პ.ს-ს მოქმედების ვადამდე.

4. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სპეციალიზებული ავტომანქანა „ნაგავზიდი“ (მარკა KATMERCILER, მოდელი RCV, ტიპი „ სპეციალიზებული“ საიდენტიფიკაციო # NMB95050112181309 გამოშვების წელი 2016. რეგ. ნომერი VQ412OV) რომელზეც გამოიცა 2017 წლის 30 მაისის № 153 განკარგულება.

- გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის № 153 (ცვლილება შეტანილია #100 განკარგულებაში) განკარგულების საფუძველზე 2017 წლის 6 ივნისს გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უსასყიდლო თხოვნების უფლებით გადასცა ა.ა.ი.პ. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სუფთა ქალაქი“-ს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სპეციალიზებული ავტომანქანა „ნაგავზიდი“ (მარკა KATMERCILER, მოდელი RCV, ტიპი „ სპეციალიზებული“ საიდენტიფიკაციო # NMB95050112181309 გამოშვების წელი 2016. რეგ. ნომერი VQ412OV) ა.ა.ი.პ.-ის მოქმედების ვადამდე.

ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების მიერ საკრებულოს წარედგინა უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემის შემდეგი პროექტები:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გამგეობის შენობის (ს/კ 81.15.23.202) პირველ სართულზე არსებული 3 კვ.მ ფართი, რომელზეც გამოიცა 2017 წლის 9 იანვრის #5 განკარგულება.

- გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გამგეობის შენობის (ს/კ 81.15.23.202) პირველ სართულზე არსებული 3 კვ.მ ფართი გადაეცა სს „ლიბერთი ბანკი“-ს უსასყიდლო უზუფრუქტით ორი წლის ვადით.

ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების მიერ საკრებულოს წარედგინა 2017 წლის შემდეგი მოსაკრებლები პროექტები

1. ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ, რომელზეც გამოიცა 2017 წლის 30 იანვარს № 3 განკარგულება.
2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების განსაზღვრის შესახებ, რომელზეც გამოიცა 2017 წლის 30 იანვარს № 5 განკარგულება.
3. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემისას არსასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ, რომელზეც გამოიცა 2017 წლის 30 იანვარს № 15 განკარგულება.
4. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ, რომელზეც გამოიცა 2017 წლის 30 იანვარს №4 განკარგულება.
5. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოდრავი ქონების (გარდა მიწისა) სარგებლობის ფორმით გადაცემის საწყისი წლიური ქირის ოდენობის დადგენისა და შესაბამისი ზონირების შესახებ, რომელზეც გამოიცა 2017 წლის 21 მარტს № 14 განკარგულება.
6. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არსასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ, რომელზეც გამოიცა 2017 წლის 30 იანვარს № 2 განკარგულება.
7. გარდაბნის მუნიციპალიტეტის დასუფთავების მოსაკრებლის განაკვეთის განსაზღვრის, გადახდის ინსტრუქციისა და დასუფთავების მოსაკრებლის ქვითრის ფორმის დამტკიცების შესახებ, რომელზეც გამოიცა 2017 წლის 28 თებერვალს № 10 განკარგულება.
 - 2017 წლის 28 თებერვალს № 10 განკარგულების შესაბამისად, დასუფთავების გადამხდელად დარეგისტრირებულია 113 გადამხდელი. დასუფთავების გადამხდელად დარეგისტრირებული იურიდიული პირები, რომლებსაც შეუძლებელია გადახდის პერიოდი. დასუფთავების გადასახადის შემოსავალმა გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში შეადგინა 1549 ლარი.

- ასევე დამატებით მიმდინარეობს იურიდიული პირების დასუფთავების გადამხდელად რეგისტრაცია.
- სულ დარეგისტრირებულია 119 იურიდიული პირი დასუფთავების გადამხდელად.
- გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში დასუფთავების მოსაკრებლის შემოსავალმა 2017 წლის 14 მარტიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შეადგინა 9 119,49 ლარი.

აგრარული განყოფილება - 2017 წელს აგრარული განყოფილების მიერ შესრულდა და განხორციელდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის (გამგებლის) დავალებების, სსიპ სახელმწიფო ქონების მართვის, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სახელმწიფო არქივის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მართვას დაქვემდებარებული საკითხების და შესაბამისი დავალებების განხორციელება როგორც ცალკეული ადმინისტრაციული საქმისწარმოების, ისე პროგრამული და სხვა დავალებების სახით.

შემუშავდა:

- გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2017-2022 წლის მყარი ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა.
- გარდაბნის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი ეკონომიკური განვითარების პროგრამა.
- „მიწის დეგრადაციისა და სიღარიბის შემცირების მიზნით სასოფლო ტერიტორიებზე ლანდშაფტისა და მიწის მართვის რესურსების მდგრადი მართვის“ პროექტი.
- მიმდინარეობს მოლაპარაკება გარდაბნის მუნიციპალიტეტის კრწანისი-აღთაკლიის ტერიტორიაზე არსებული 308 ჰა ტყე-პარკის მართვის საკითხებზე.
- საერთაშორისო პროექტებიდან მოხდა სამხრეთ კავკასიის ნავთობისა და გაზის მილსადენების გასწვრივ გაფართოების პროექტის ზოლში არსებული ტერიტორიების ხე-მცენარეებისაგან გაწმენდა. მილსადენის უსაფრთხოებისათვის პროექტში განხორციელდა 7 ცვლილება.
- კრწანისის ტერიტორიაზე მგვ-ის კონტრაქტორის „სეზუა ინშაათის“ მიერ განხორციელდა თბილისი-რუსთავი წითელი ხიდის ავტობანის მშენებლობის მეორე ეტაპის სამუშაოებით გათვალისწინებული საავტომობილო გზის გასწვრივ არსებული ხე მცენარეების ჭრა. მიღებული მერქანი გადმოეცა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობას, რომელიც განაწილდა სოციალურად დაუცველ და მატერიალურად გაჭირვებულ მოქალაქეებზე. სულ 2017 წლის მანძილზე დავეხმარეთ 250(ორას ორმოცდაათი) მოქალაქეს.
- გარდაბნის მუნიციპალიტეტში დღეისათვის დარეგისტრირებულია 65 სასოფლო სამეურნეო კოოპერატივი; აქედან სტატუსი დროებით შეუჩერდა 18 კოოპერატივს, არსებული კოოპერატივების ნაწილი მონაწილეობს „ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარებისათვის საქართველოში (ENPARD საქართველო) მიერ განხორციელებულ საგრანტო პროექტებში, რომელსაც ახორციელებს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „მერსი ქორფსი“, საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია -ABCO Georgia, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი-GIPA და კავშირი აგროსერვისი. გარდაბნის მუნიციპალიტეტიდან აღნიშნულ პროექტში გაიმარჯვა 2(ორი) მეფუტკრეთა გაერთიანებამ.
- გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ქ.რუსთავთან) პირუტყვის გადასარეკად მიმდინარეობს ბიოუსაფრთხოების პუნქტის მოწყობა, რომელიც დღემდე შეძლებს 8000 სული ცხვრის გაბანებას.

- პროგრამა დანერგე მომავალის ფარგლებში , გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხორციელდება 13 ჰა ტყემლის, 5ჰა ნუშის, 5ჰა კაკლის ბაღის გაშენება.
- ენერგო-პრო ჯორჯიას, საქართველოს ელექტროხაზებისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის თბოელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემების გასწვრივ განხორციელდა კანონით გათვალისწინებული ხე-მცენარეებისაგან გაწმენდა გადაბელვა. (განხორციელდა ოპერატორი კომპანიების მიერ).
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ მოახდინა სააკადის სამარხის რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების შემოწმება და მარადმწვანე ნარგავების ხმობის მიზეზების დადგენა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართვის საფუძველზე.
- მორწყვადი კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სამელიორაციო სისტემის მზარდი განვითარების გარდა, შპს საქართველოს მელიორაციასა და არასამთავრობო ორგანიზაცია S.C EPTISA Romania S.R.L Cingral S.L da B.R.I Inginerie კონსორციუმს შორის, 2015 წლის 22 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების ეგიდით მოხდა ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მიმდებარე სოფლებში მიწის რესურსების აღრიცხვისა და სარწყავი წყლით უზრუნველყოფის შემდგომ ანგარიშვალდებულების საკითხების შესწავლა-მონიტორინგი.
- გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიქსირდება 24135 ჰა ტყე და ბუჩქნარი.
- სახნავ-სათესი ფართობი მთლიანად შეადგენს 32319ჰა.
- საძოვარი 19076 ჰა.
- სათიბი 20474 ჰა.
- მრავალწლიანი ნარგავები 2700ჰა.

სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად, ლიცენზიის მისაღებად საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოდან შემოვიდა 50 განაცხადი. აქედან 10 თიხა თაბაშირის, 39 ქვიშა-ხრემის, 1 კონგლომერატები მოსაპოვებლად. დადებითი პოზიცია დაფიქსირდა 34 ქვიშა-ხრემის, 7 თიხა-თაბაშირის განაცხადზე.

სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების იჯარა/პრივატიზებით გაცემაზე პოზიციის დასაფიქსირებლად შემოვიდა 58 განაცხადი.

სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 2 ივნისის დადგენილება N247 საფუძველზე, 2017 წლის 4 იანვრიდან მიმდინარეობდა 2000 წელს დაბადებულ ჭაბუკთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა. სკოლებიდან და წარმოება-დაწესებულებიდან გამოთხოვილი მონაცემებით:

- ასაყვანი იყო 407 ჭაბუკი;
- აყვანილ იქნა 448 ჭაბუკი;

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 3 თებერვლის დადგენილება N57 საფუძველზე, განხორციელდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა საგაზაფხულო გაწვევა (2017 წლის 1 თებერვლიდან - 2017წლის 30 ივნისამდე).

- გეგმა-დავალება შეადგენდა 74 წვევამდელს;
- გამომახებულ იქნა გამწვევ უბანზე 535 წვევამდელი;
- ადგილზე გამოცხადდა 404 წვევამდელი;

- სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულ იქნა 78 წვევამდელი;
- 326 წვევამდელს სხვადასხვა მიზეზის გამო კანონის შესაბამისად მიეცა გადავადება;
- გადავადების მოსაკრებელი გადაიხადა 12-მა წვევამდელმა;
- სასამართლოს მასალები 131 წვევამდელის შესახებ გადაეცა.
- დაჯარიმდა 5 წვევამდელი.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის დადგენილება N366 საფუძველზე, განხორციელდა სამხედრო-სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა საშემოდგომო გაწვევა (2017წლის 27 ივლისიდან - 2017წლის 29 დეკემბრამდე).

- გეგმა-დავალება შეადგინდა 96 წვევამდელს;
- გამწვევ უბანზე გამოძახებულ იქნა 524 წვევამდელი;
- გამოცხადდა 467 წვევამდელი;
- სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულ იქნა 63 წვევამდელი;
- 404 წვევამდელს მიეცა გადავადება კანონის შესაბამისად სხვადასხვა მიზეზის გამო;
- გადაიხადა გადავადების მოსაკრებელი 10 წვევამდელმა;
- გადაეცა მასალები სასამართლოს 57 წვევამდელზე;

სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ კანონის 21-მუხლის მე-3 პუნქტით:

- რეზერვში ჩაირიცხა 300 წვევამდელი;
- კანონის შესაბამისად, სამხედრო-სავალდებულო სამსახურგავლილი 165 წვევამდელი რეზერვში ჩაირიცხა.
- რეზერვისტის დროებითი მოწმობა გამოწერილ იქნა 175 რეზერვისტზე.

ადმინისტრაციული სამსახური

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში (საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კოდექსში“ 2017 წლის 26 ივლისის განხორციელებულ ცვლილებებამდე გამგეობა) 2017 წლის განმავლობაში კორესპონდენციის (შემოსული, გასული, შიდა) მიმოქცევა (იხ. დანართი (exeel-ის ფაილები).

ჩატარდა ორი ღია და ორი გამარტივებული კონკურსი. აღნიშნულ კონკურსებში სულ გადარჩეულ იქნა 1038 განაცხადი (იხ. დანართი 1).

- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მუნიციპალიტეტის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მომზადებულ იქნა 3483 (სამი ათას ოთხას ოთხმოცდასამი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი, შედეგად 2017 წლის 29 დეკემბრის მდგომარეობით გამოცემულია გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ამავე რაოდენობის ბრძანება.
- შემუშავებულ იქნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის - დადგენილების 58 (ორმოცდათვრამეტი) პროექტი, დამტკიცებულია ამდენივე დადგენილება.
- სასამართლოში მიმდინარე და დასრულებულ საქმეებთან დაკავშირებით, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია ამჟამად ჩართულია 9 მიმდინარე სასამართლო პროცესში, აქედან 8 პროცესში მერია წარმოადგენს მოპასუხე მხარეს, ხოლო ერთში - მოსარჩელეს.
- 2017 წლის განმავლობაში, იურიდიული განყოფილების მიერ, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, რეგულარულად ხდებოდა, როგორც მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისათვის ისე მოსახლეობისათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა.

- 2017 წლის 6 თებერვალს ვებ-საიტის გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად, გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №27 ხელშეკრულება შპს „ჯეოვებთან“. ხელშეკრულებით გათვალისწინებულმა თანხამ შეადგინა 4200 ლარი.
- ინფორმაციის გაშუქება ძირითადად ოფიციალურ ვებგვერდზე Gardabani.gov.ge-ზე, ასევე მუნიციპალიტეტის ფეისბუქ გვერდზე „გარდაბნის მუნიციპალიტეტი/Municipality of Gardabani“ ხორციელდებოდა.
- მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო მხარდაჭერის მიზნით, ხელშეკრულება გაფორმდა რამდენიმე საინფორმაციო სააგენტოსთან, რომლებმაც უზრუნველყვეს ინფორმაციების, პრესრელიზებისა და ფოტოების საფუძველზე ინფორმაციის საზოგადოებისთვის გაცნობა.
- 2017 წლის 6 თებერვალს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №28 ხელშეკრულება საინფორმაციო სააგენტო „ინფო 9“-სთან, რომლის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 2360 (ორი ათას სამას სამოცი) ლარი.
- 2017 წლის 30 მაისს (6 თვის ვადით) გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №152 ხელშეკრულება საინფორმაციო სააგენტო „ინფო რუსთავთან“, ხელშეკრულებით გათვალისწინებულმა თანხამ შეადგინა 2300 (ორი ათას სამასი) ლარი.
- ხელშეკრულების გარეშე, ინფორმაციის გავრცელებაში გვეხმარებოდა ქვემო ქართლის ტელე-რადიოკომპანია „მეოთხე არხი“, საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსი“ და „ტელეგრაფი“, რომლებიც აქტიურად აშუქებდნენ მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებს.
- 2017 წელს ვებ-გვერდზე და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე

განთავსდა:

- გარდაბნის მუნიციპალიტეტში მიმდინარე, განხორციელებული და დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ - 41 ინფორმაციული შენიშვნა, მათ შორის მუნიციპალიტეტში „საუკუნის პროექტად“ წოდებული ხუთი სოფლის სასმელი წყლით 24 საათიანი წყალმომარაგების პროექტი. ნორიოსა და სართიჭალის მიუდოს დარბაზების მშენებლობის ეტაპები და ოფიციალური გახსნა. მუნიციპალიტეტის სოფლებში მოასფალტების სამუშაოები. 9 აპრილის სახელობის სკვერის რეაბილიტაცია, გაზიფიცირება და სხვა;
- კულტურა, შემეცნება და განათლება - გაშუქდა 28 ინფორმაცია. მათ შორისაა მურმან ჯინორიას საღამო - „ქარი მწყურია მე პირდაპირი“, „ილიას მკვლელობა“, „საცხენისობა 2017“, „გარდაბნობა 2017“, „თელეთობა 2017“, პროექტი - „შემოიარე საქართველო“, ფერეიდნელი ქართველების სტუმრობა მუნიციპალიტეტში და სხვა;
- ინფორმაცია სპორტული აქტივობების შესახებ - 8 ინფორმაციული შენიშვნა, მათ შორის ლევან დევდარიანის სახელობის ტურნირი ფრენბურთში, მოყვარულ ფეხბურთელთა ტურნირი მინი-ფეხბურთში და ა.შ.
- მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირების ინიციატივით, გაიმართა რამდენიმე დასუფთავების აქცია, რომელიც ადგილობრივი ვებ-გვერდისა და ფეისბუქ გვერდების საშუალებით გაშუქდა. განსაკუთრებით მასშტაბური დასუფთავების აქცია მოეწყო - სართიჭალაში, ვაზიანში და ქალაქ გარდაბნის რამდენიმე უბანში ეტაპობრივად.
- რაც შეეხება სოციალურ საკითხებს, დროებითი სამუშაო ჯგუფის სოციალური აქტივობების მხრივ გაშუქდა -29 ინფორმაციული შენიშვნა, მათ შორის დროებითი სამუშაო ჯგუფის შედეგები, გაცემული ერთჯერადი მატერიალური დახმარებები, ასევე უფასო სამედიცინო აქციები და სხვა;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციას ყოველდღიურად აწვდიდა ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების, დაგეგმილი პროექტებისა თუ პრობლემების შესახებ, რომელიც ოფიციალური ელექტრონული ფოსტით prdep@gardabani.gov.ge –ს საშუალებით იგზავნებოდა.
- გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში მუშაობს ცხელი ხაზი, რომლის საშუალებით ხდება ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული მოქალაქეებისთვის, კერძო, იურიდიული თუ სახელმწიფო სტრუქტურებისთვის.
- ადმინისტრაციული ერთეულებიდან ყოველდღიურად მიღებული ინფორმაცია

სისტემატიზაციისა და დამუშავების შემდგომ იგზავნებოდა სხვადასხვა უწყებებში.

- მთელი წლის განმავლობაში ხორციელდება ყველა (ცხრამეტი) ადმინისტრაციული ერთეულის შემოწმება/მონიტორინგი.
- წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილება უზრუნველყოფდა მოსახლეობის კავშირს ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებთან. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სტატისტიკური ბაზის მომზადება, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ვფლობდეთ ყველა საჭირო ინფორმაციას თითოეული ადმინისტრაციული ერთეულის შესახებ.
- ადმინისტრაციულმა სამსახურმა განახორციელა მუნიციპალიტეტის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მატერიალური ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა.

ზედამხედველობის სამსახური

2017 წლის იანვრიდან დეკემბრის თვის ჩათვლით, ზედამხედველობის სამსახურში სულ შემოსულია 954- წერილი, აქედან ჟურნალში გატარებული წერილებია 239, 715 წერილი კი ელექტრონულადაა (პროგრამა ინტერფლოუ) შემოსული.

- ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლებმა გამოავლინეს არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის დარღვევის შემთხვევები; 83 მოქალაქე და ორგანიზაცია, რომლებსაც ეკისრებოდათ ფულადი სანქციები, დაჯარიმდნენ კანონის შესაბამისად. დაჯარიმების შედეგად ბიუჯეტი შეივსო 31 000 (ოცდათერთმეტი ათასი) ლარით;
- ზედამხედველობის სამსახურის ტექნიკურმა განყოფილებამ მონაწილეობა მიიღო სოფლის პროექტებით გათვალისწინებულ სამუშაოებში. 38 კონტროლის უზრუნველყოფის შესახებ წერილის შესაბამისად, ზედამხედველობა და კონტროლი გაუწია 38 ობიექტს.
- გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურიდან შემოვიდა 30 წერილი - სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები და ხარჯთაღრიცხვები;
- მშენებლობის ნებართვებთან დაკავშირებით გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახურიდან შემოსულია 333- წერილი. წერილის საფუძველზე გადამოწმდა ობიექტები, აქედან პასუხი გაეცა 319- წერილს, ხოლო 14 წერილზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.
- ზედამხედველობის სამსახურის ინსპექტირების განყოფილება კონტროლს უწევს მუნიციპალიტეტის შპს-ეებისა და ა(ა)იპ-ორგანიზაციების საქმიანობას.

განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამსახური

- 2017 წლის 9 თებერვალს განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამსახურის ორგანიზებითა და დაფინანსებით, ქ. გარდაბანში გაიმართა ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი“. გამარჯვებული სოფელ სართიჭალის №2 საჯარო სკოლის მოსწავლე თამარ პაქსაშვილი გახდა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ფინალურ შეჯიბრში „ეტალონი 2017“-ში.
- 19-20 მარტს აღინიშნა აზერბაიჯანელი ერის სახალხო-რელიგიური დღესასწაული „ნოვრუზ-ბაირამი“.
- 2017 წლის 19 მარტს სამსახურმა უმასპინძლა ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული პროფესიული დრამატულ თეატრს.

- 1 აპრილს აღინიშნა ასირიელი ხალხის სახალხო დღესასწაული „ხაბ-ნისანი“, რომლის ფარგლებშიც გაიმართა საზეიმო კონცერტი და ტრადიციული კერძების გამოფენა-დაგემოვნება.
- 13 აპრილს გაიმართა საქართველოს ა(ა)იპ „ეროვნული იმპერატივის“ ორგანიზებით დაგეგმილი დრამატული ნაწარმოების „საუკუნის მკვლელობა - გზა ილიასი“ თეატრალიზებული ჩვენება.
- 21 აპრილს ჩატარდა „აღდგომის“ დღესასწაულთან დაკავშირებული ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც გაიმართა სადღესასწაულო კონცერტი ცნობილი მომღერლების მონაწილეობით.
- 30 აპრილს სოფ. მარტყოფში, აპარნის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა სახალხო - რელიგიური დღესასწაული „აპარნობა“, რომელიც ყოველწლიურად, აღდგომიდან 2 კვირაში აღინიშნება. ღონისძიების ფარგლებში ჩატარდა ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, მკლავჭიდსა და დოღში. გამარჯვებულებს კი მედლები, სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.
- 1 მაისს სამსახურმა მასპინძლობა და სხვადასხვა სახის საორგანიზაციო მომსახურება გაუწია (მათ შორის უზრუნველყო გახმოვანების აპარატურით) საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით დაგეგმილ და სსიპ გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურული მუზეუმის მიერ ინიცირებულ პროექტს „მრავალფეროვანი საქართველო“, რომლის ფარგლებშიც გაიმართა გიორგი კეკელიძის წიგნის „გურულის დღიურებისა“ და ოქტაი ქაშუმოვის მიერ შექმნილი ლიტერატურული კალენდრის პრეზენტაციები, მოეწყო კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გამოცემებისა და სსიპ „ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის“ მიერ აზერბაიჯანულ და თურქულ ენებზე ნათარგმნი ქართველი მწერლების ნაწარმოებების პრეზენტაციები, გაიმართა ახალი ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმის „მამა“-ს კინოჩვენება.
- 2017 წლის 20 მაისს დაიწყო და სექტემბერში დასრულდა ახალგაზრდული პროექტი „შემოიარე საქართველო“, სადაც გარდაბნის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა წარმატებულმა ახალგაზრდებმა სრულიად უფასოდ მონაწილეობა მიიღეს ექსკურსია-ლაშქრობებში. დაათვალიერეს საქართველოს სხვადასხვა კუთხის მდიდარი ისტორიული კულტურა და ბუნება.
- 26 მაისს ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც საზეიმოდ გაფორმდა ქ. გარდაბნის ცენტრალური ქუჩა. გაიმართა სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიებები. სპორტულ აქტივობებში გამარჯვებულებს კი სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.
- 29-30 მაისს ა(ა)იპ „ანიმაციის განვითარების ფონდის“ ორგანიზებითა და სამსახურის მხარდაჭერით გაიმართა ანიმაციური ფილმების ფესტივალი „ექო თოფუზი“, სადაც მოეწყო ქუჩის თეატრალიზებული მსვლელობა ე.წ. ბარაბან-შოუ, აგრეთვე წამახალისებელი ვიქტორინა თემაზე: „ქართული ანიმაციის ისტორია“. ფესტივალის ბოლოს მოეწყო ვორქშოპი სახელწოდებით: „ანიმაცია ურთიერთობის მხატვრული ფორმა“, სადაც მხატვრული ნიჭით დაჯილდოვებულმა გარდაბნელმა მოზარდებმა შექმნეს კადრირება, დაიხატა პერსონაჟები და ფონები, შეიქმნა 1 წუთიანი ანიმაციური ფილმი.
- 1 ივნისს საპატრიარქოსთან არსებულმა საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოებამ ოჯახის თემაზე დოკუმენტური ფილმის „თავგანწირვის ტაძრის“ პრეზენტაცია გამართა.
- 5 ივნისს გაიმართა ქველმოქმედთა თეატრის - „მხიარული ნიღბებისა“ და სასკოლო თეატრალური დასების შესრულებით საქველმოქმედო სპექტაკლები „ჯვარცმული ბედნიერება“ და „ნატვრის ხე“. აღსანიშნავია, რომ შემოსული თანხა გადაირიცხა ბერი ანდრიას სახელობის საქველმოქმედო ფონდში.
- 29 ივნისს ჩატარდა ლევან დევდარიანის სახელობის ტურნირი ფრენბურთში მოყვარულთა შორის, სადაც მონაწილეობა ადგილობრივებთან ერთად სტუმრად ჩამოსულმა გუნდებმა მიიღეს. გამარჯვებულ გუნდებს სიგელები და მედლები, სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულებს კი ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.
- 29-30 ივნისს, ქ. გარდაბანში ახალ მინი-სტადიონზე ჩატარდა ტურნირი მოყვარულთა შორის მინი-ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც ქალაქის, ასევე გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ჩამოსულმა

გუნდებმა. გამარჯვებული გუნდები სიგელებით და მედლებით, ხოლო სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

- 2016 წლის 17 სექტემბერს ქ. გარდაზნის კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართა „ახალგაზრდული ფესტივალი 2017“, რომლის ფარგლებში სადღესასწაულოდ მოირთო სკვერი, განსხვავებული ასაკისა და ინტერესების ადამიანებისთვის დამონტაჟდა სხვადასხვა ტიპის გასართობები. ღონისძიებას აფორმებდა ცოცხალი მუსიკა, ბენდი და DJ. ფესტივალის მიმდინარეობისას გაიმართა ლუდის ჩემპიონატი და ფერების ფესტივალი. კონცერტში მონაწილეობდნენ ქართული ესტრადის ვარსკვლავები. საღამო ელექტრონული მუსიკით და გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა.
- 7-8 ოქტომბერს ბოლნისის მუნიციპალიტეტში „ბოლნისქალაქობა“ გაიმართა, სადაც გარდაზნის მუნიციპალიტეტიდან კულტურის სამსახური აქტიურად ჩაერთო. ღონისძიების ფარგლებში ქალაქ ბოლნისში გამოიფინა ივანე ჯავახიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან სხვადასხვა საინტერესო ექსპონატი.
- 19 ოქტომბერს კულტურის სახლმა უპასპინძლა შპს „გამომცემლობა პალიტრა L“-ის მიერ ორგანიზებულ წიგნების გამოფენა-გაყიდვას, რომელიც მიზნად ისახავდა წიგნის პოპულარიზაციას.
- 28 ოქტომბერს ტრადიციული სახალხო დღესასწაული „გარდაზნობა 2017“ აღინიშნა. საგანგებოდ ამ დღისთვის საზეიმოდ მოირთო ქალაქის ცენტრალური ქუჩა. მოეწყო თეატრალიზებული წარმოდგენა პანტომიმის თეატრის მსახიობების მონაწილეობით, თბილსრესის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე ცნობილი ზღაპრების გმირების მონაწილეობით გაიმართა საბავშვო წარმოდგენა, მოეწყო სამუზეუმო ექსპონატების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის მოსწავლეების ნახატებისა და ნაქარგების, კულტურის ცენტრის ნახატების, ნაქარგებისა და ხელნაკეთი ნივთების, ასევე თერაპიული ცენტრის ბენეფიციარების ნამუშევრების გამოფენა. დაჯილდოვდნენ გარდაზნის საპატოო მოქალაქეები და მუნიციპალიტეტის ოქროსმედალოსანი მოსწავლეები. თბილ-სრესის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟებულ დიდ სცენაზე ნიაზ დიასამიძისა და სხვა მომღერლების მონაწილეობით კონცერტი გაიმართა. საღამო გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა.
- დეკემბრის თვეში, 2018 წლის მოახლოებასთან ერთად ქალაქის ცენტრალური ქუჩა სხვადასხვა საახალწლო მორთულობითა და ილუმინაციებით მოირთო, ქალაქის ცენტრში კი დამონტაჟდა გრანდიოზული ნაძვის ხე. ქალაქ გარდაზნის კულტურის სახლში ჩატარდა საახალწლო ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტში არსებული ა(ა)იპ - ებთან არსებულმა მხატვრულმა კოლექტივებმა, სოლო შემსრულებლებმა და საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა.